# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1195

დამატების № 211

კვირა, 25 მაისი 1914 წ.


## იყო... სადღაა?

(უცნობ სამარესთან)

იყო... სადღაა? აღარ არის მისი ხსენება!
ვინ იცის, იქმნებ, ვინც ამ ჟამად აქ იმარხება,
ერთ დროს დიადი ზრახვა გულში უტრიალებდა.
თუ აისრულა,—მასთან გაჰქრა, ვით მოჩვენება,
თუ—არა, ბოლმას სიკვდილამდის თან ატარებდა!

იქმნებ უყვარდა და მიჯნური პირს არიდება,
იქმნებ მებრძოლი მამულისთვის ხმალს აღილებდა
და ერის ტანჯვას გარდიტანდა საკუთარს თავზე?
ან იქმნებ შურსა და მტრობაში დღეს ალამებდა?—
აღარა სჩანს-რა! წარწერაც კი წაშლილა ქვაზე!

ეხ, ვიცი, ხვალე მეც ეს ბედი მომელოდება,
მოვრჩები! სევდით გული აღარ შემიღონდება.
ჩემი წარწერაც—ჩემი ლექსი—რა დაძველდება,
ყრმა მომავალი წიგნის საფლავს დააცქერდება,
იტყვის: თუ იყო, სადღა არის მისი ხსენება?!

სანდრო შანშიაშვილი.

## ეჭვის ფერფლი

მე ვარდის სუნთქვამ მომცა სიცოცხლე—
ხოლო სიცოცხლემ ტანჯვა მუდმივი,
მგოსნისა გრძნობა ბედის ღალატმა
და ცრემლის ზღვამ კი იმედის სხივი...
უდასაწყისო მარადისობამ
გადიხსნა მკერდი—შიგ ჩამახედა,—
და გრძნეულება თვისი უსაზღვრო
მითხრა—გარდმექნა ქვეყნის სახედა...

და იმას ვნაღვლობ მსხვერპლი დროისა,
ვაჰ, თუ ვერ ვიყო მეც მარადისი,
ვაჰ, თუ ბუნება მოსტყუვდეს ჩემში
და გარდმოცემა ვერ შევძლო მისი!..

ს. ფაშალიშვილი.



გვირგვინოსანი ბაყაყი—მეფის ასული. (ზღაპარი).

## უმიზეზო სიმთვრალე

გაგონილა?! არავისთან არ მიმიძღვის ცოდო-ბრალი
და მთვრალი ვარ უმიზეზოდ! და მთვრალი ვარ! მთვრალი... მთვრალი...

მართალია, ვარდის თვეში სულ სხვაგვარად თრთის წალკოტი,—
მაგრამ დღეს კი დასათრობად არ მიყნოსავს ვარდის ტოტი...
და ამბორიც მიყვარს! მიყვარს ხან სიცელქე, ხან სიშმაგე,—
მაგრამ დღეს კი—გეფიცებით!—არ მიგრძვნია ქალის ბაგე...
მართალია, ღვინის სმაშიც ვარ გამოცდილ-განაცვეთი,—
მაგრამ დღეს კი—ღმერთი! რჯული!—არ შემისვამს ერთი წვეთი...

გაგონილა?! არავისთან არ მიმიძღვის ცოდო-ბრალი
და მთვრალი ვარ უმიზეზოდ! და მთვრალი ვარ! მთვრალი... მთვრალი...

ი. გრიშაშვილი.

## გული გამრთელდა

I

ლოგინად იწვა სატრფო სნეული,
სულს მიშფოთებდა სევდა წყეული
ცხარე ცრემლებით მეწოდა თვალი.
ახ! ჩემთან ერთად ცრემლებსა ღვრიდა
და ფარულად კი სამარეს სჭრიდა
მტერი უპირო, მტერი მუხთალი.

II

ზეცას შევსთხოვდი, გასჭრა ლოცვამან
ჩემი ვედრება ისმინა ცამან,
დღეს აღსდგა სატრფო—იცნო მოყვარე
და კრულვა-წყევით ახსენა მტერი.
აწ ვერ მაშინებს ბნელი სამარე
გული გამრთელდა—სევდით ნასერი...

მთის ნიავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლურჯი ედემი

ყრმობის სამოთხე... წმიდა სამოთხე,
პირველი კოცნა, შეხვედრის ჟამი.
რუხ ფრთიანმა დრომ მოგვდვა ლაგამი
გაუწმიდურდა სიწმიდის კუთხე
პირველი გრძნობის კუბო-სამოთხე!..
მაინც არ მჯერა ალერსის ბაღი
ჩამომხმარიყოს ვეღარ აყვავდეს;
მაშინ ცხოვრება საფლავს აგავდეს
თუ დაგვავიწყდეს ბავშობა ლაღი!..
მჯერა მწვანეა ალერსის ბაღი,

—

ვნების გრიგალი დაგვწივის თავზე
ნებივრობს ტანში იცინის ცოდვა,
ცეცხლად იშლება სიგიჟის ბოდვა.
როგორც აფთარი გათხრილ საფლავზე
ვნების გრიგალი დაგვწივის თავზე!..

—

მაგრამ რა მოკლავს პირველ სიყვარულს?!
სული არ იწვის ვნების კოცონზე,
მაინც ვოცნებობთ ბავშობის დროზე,
მიველტვით მწვანეს ბავშობის კუნძულს;
რა მოკლავს გულში პირველ სიყვარულს?..

—

მწვანე ედემი, ლურჯი ედემი,
ბავშობა ლაღი თავისუფალი,
პირველი გრძნობის უმხელი ალი...
ისევ წინ გვიძღვის იმედის გემი,
პირველი გრძნობის ლურჯი ედემი!..

ტ. ტაბიძე.

# მე

მე ისე მოველ, ვით ღრუბლის ქულა,
ატლასის ცაზე რო მიილულა,
ტბის ლურჯ თვალებმა რო გამოსახა,
მე იმას ვამბობ რაც დიონისომ ყურს ჩამჩურჩულა,
ციით ჩამომძახა.
მე როგორც მოველ, ისე დავდნები
გუშინ ვიყავი—ხვალ არ ვიქნები.
მე ცის ნამი ვარ
მზით ანაშრობი,
მე თვით წამი ვარ
წამით ნაშობი.
სიზმარი, მაგრამ მკვეთრი
თვით ცხადზე
ნისლის ნაფლეთი
ცხელ მზის ღადღადზე,
ჭოჭყზე ამდგარი
და ანატეხი—
მზისგან ნატყორცნი ვერცხლის ისარი
ტბის ფოლად მკერდზე გადანატეხი
. . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . .
მე როგორც მოველ, ისე დავდნები,
გუშინ ვიყავი, ხვალ არ ვიქნები.
მე არც კი მახსოვს ღმერთთა ამბორის
შეხებამ თვალი ვით ამიხილა,—
მე ისე ვჭყავი ყვავილთა შორის,
ვით ტყის ბილილა!
მე ვამბობ: ჩემ სულს სახე დაფარულს,
შორს სადღაც ტევრში მიეძინება
ვით ღრუბლის ქულას უგზოდ მოარულს
შავ-ბნელი ფლასი დაეფინება.

კ. აბაშისპირელი.

# მგოსნის მონოლოგი

(ნაწყვეტი დრამატიულ პიესიდან)

გრძნობის მაგიერ „ჰოის“ ძახილი,
აზრების ნაცვლად სიტყვები ბრტყელი,
მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლი,
იმედს არ ვკარგავ—რაღაცას ველი.
ვჯახირობ, ვწვალობ, ვათევ ღამეებს,
მაგრამ ღატაკი სული ფრთებს ვერ შლის
და, ნაცვლად წმინდა ალმაფრენისა,
სხვის ნაწერებში საქურდლად დაძრწის!

და მაშინ, სწორედ, მე ვგევარ უფრო
თავის დავთრის წინ მჯდომარე ვაჭარს,
ვიდრე ღვთიური შემოქმედების
მხურვალე ცეცხლით აღგზნებულ მხატვარს!

ვაგროვებ სიტყვებს; სანამ დავსწერდე,
უნდა ავსწონო, უნდა დავთვალო,
და ყოველ მათგანს თავს დავძიგძიგობ,
ვით გროშს ნაჩუქარს მონა საბრალო!

ვუპირდაპირებ ერთიერთმანეთს,
ვაბამ, ვასწორებ, ვადგენ სტრიქონებს,
და ეს უმსგავსო, ხანგრძლივი შრომა
თვალებს მიშრეტავს და გულს მიღონებს!..
ბოლოს ვკითხულობ ჩემს „ნაწარმოებს“!

გულში იმედებს ამაოდ ვიშლი:
თუ დაწერის დროს ოფლი მდიოდა,
წაკითხვის დროზე მიშრება სისხლი!
და... ვეღარ ვითმენ! ბრაზი მერევა,
დაგუბებულ შხამს გული ვერ უძლებს,—
გავკრავ ხელსა და ნაკუწად ვაქცევ
ვაი-ვაგლახით დაწერილ ფურცლებს!..

კ. ჭიჭინაძე.

# გაზაფხულის საღამო

საღამოა. ყომრალ ღრუბლებს ცის დასავალს მშვიდად სძინავს,
ცელქი სიო ტკბილად მღერის, ცელქი სიო ლაღად ფრინავს.
მალე ვარსკვლავთ ლეგიონი ცის ლურჯ გუმბათს მორთავს ჭრელად,
ბადრი მთვარეც გამოჩნდება და გააბნევს სხივებს ველად.
მალე... მალე ბულბულიც კი ააკვნესებს ჩანგის სიმებს,
შვებით მთვრალი შვების ცრემლებს ვარდის ლაწვზე დააწვიმებს.
ყურს დავუგდებ ბულბულის ხმას, მე ვისწავლი მისგან შვებას,
გულს სევდა-დარდს დავავიწყებ, გულს ვაგემებ ნეტარებას...

—

ზეცა ირთვის ვარსკვლავებით, ილიმება მორცხვი მთვარე,
ბულბული სტვენს შვების ხმაზე... და სიცოცხლით ჰფეთქავს არე.
საღამოა გაზაფხულის, შევსცქერ ზეცას მოკამკამეს,
ყვავილთ ფშვინვა სურნელსა მფენს და გული გრძნობს მით სიამეს.
დავივიწყე დღის ფიქრები, დავივიწყე სევდა მწარი
და დამთვრალმა ნეტარებით ავაჟღერე ტკბილად ქნარი.

ი. ვადაჭკორია.

# ქალი მასწავლებელი

(ამბავი)

(დასასრული *)

მასწავლებელი კი დარჩა გაშტერებული, განცვიფრებული და არ იცოდა რითი აეხსნა მღვდლის ასეთი საქციელი. შკაფის გასაღებს აღარ ანდობდა მღვდელი, რითი დაიმსახურა ასეთი უნდობლობა მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამის შემდეგ მღვდელმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მასწავლებელს, ყველგან და ყველასთან სცდილობდა რამე ევნო მისთვის, დაემცირებინა ხალხისა და მთავრობის თვალში. ამისთვის არაფერს არა ზოგავდა და ერიდებოდა მღვდელი. დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, ჩქარა სკოლების მეთვალყურე მოვიდა ჩვეულებრივ წლიურს გამოცდაზე. სკოლა ნახა სამაგალითოდ დაყენებული, როგორც ყოველთვის და განსაკუთრებით კი ქართულს წერა-კითხვაში საუცხოვოდ მომზადებულნი. მამა ლავრენტიმ, რასაკვირველია ეს გარემოება ხელზე დაიხვია და მაშინვე მოახსენა მეთვალყურეს.

— ხედავთ რასა შვრება ეგ მასწავლებელი, მარტოდ-მარტო ქართული ენა აქვს კარგად დაყენებული, რუსულის სწავლებას კი ყურადღებას არ აქცევს.

— რასაკვირველია ეგ დიდი დანაშაულია, რუსულს უფრო მეტს ყურადღებას უნდა აქცევდეს და ცდილობდეს სავსებით შეასწავლოს იგი ბავშვებს.

— მაგრე საქმის დაყენება არ შეიძლება, მეც კი მიკრძალავს რუსულად ლოცვებს ნუ ასწავლიო და თითონ ეცდება რუსული კარგად შეასწავლოს? ხედავთ როგორ ქართულად ჩიხტი-კოპშია გამოწყობილი და მთელს სოფელშიაც ამ ჩიხტი-კოპს ავრცელებს, იმათ კი ვინც რუსულს ტანისამოსში ეწყობა დასცინის. მაგას სასტიკი შენიშვნა უნდა მისცეთ, ან აქედან მოაშოროთ. ჩვენ დედა-ენა რად გვინდა, რას გამოვრჩებით იმას, ჩვენ მამის ენა გვინდა მამისა, ხმა ამაღლებით სთქვა ლავრენტიმ, დღეს ჩვენი მამა რუსეთი და რუსული გვესაჭიროება. მე რომ თქვენს ადგილს ვიყო, სრულიად აუკრძალავდი ქართულის სწავლებას, როგორც მეტს ბარგს და არა საჭიროს. მე ყოველი ღონით ვცდილობ ხალხს რუსული შევასწავლო ეკლესიაში გალობაც, წირვასაც ნახევრად რუსულად შემოვიღებდი რომ ხალხი მამის ენას შევაჩვიო, ეგ კი ხელს მიცარავს.

მეთვალყურეს დიდად მოეწონა მ. ლავრენტის შეხედულობა და მიმართულება, ქება შეასხა მას და მადლობა გადაუხადა სანაქებო მოღვაწეობისთვის.

ცოტა ხნის შემდეგ მ. ლავრენტიმ საჩუქრად ნაბედრენიკი მიიღო, მასწავლებელმა კი, რომლისაც მთავრობა მუდამ მადლობელი იყო ხოლმე სასტიკი შენიშვნა და გაფთხილება.

---

იხ.) სურათებიანი დამატება № 210

საჩუქრით წათამამებული მღვდელი ცას ეწეოდა, მასწავლებე-
ი თინათინი კი ყურჩამოყრილი დაიარებოდა და აშკარადა ჰხედავ-
ა, რომ მთავრობისაგან შენიშვნის მიღება სულ მისი ნამოქმედარი
ყო. გამარჯვებული მღვდელი კი ამას არ დაკმაყოფილდა, ეხლა აშ-
არად შეუდგა მასწავლებლის წინააღმდეგ ბრძოლას. ამისთვის არა-
ვერსა ზოგავდა. ჩქარა მასწავლებელმა გაიგო, რომ მღვდელი სო-
ველში დადის და ათას ჭორსავრცელებს მასწავლებელზე. სადა კი
ოხვდება ნათლობაში, ქორწილში, ქელეხში ყველგან ამბობდა, რომ
ასწავლებელი ცუდის ყოფა-ქცევისაა, რომ ის ქალებსა რყვნის და
წავლით კი არაფერს ასწავლის. ასეთს სიტყვებს პირველად მასწავ-
ლებელი არაფერს ყურადღებას აქცევდა.

— რავდენიც უნდა იმდენი იყბედოს, მე სოფელი მაგაზე უფ-
ო კარგად მიცნობს და იმედია მაგის ყბედობას არავინ ჩააგდებს
ათმე.

მაგრამ ტყუილად ეგონა თინათინს, რომ სოფელი ყურადღებას
რ აქცევდა მღვდლის სიტყვებს. მღვდელმა თავდაპირველად ისეთ
დიდ კაცად გააცნო და მოაჩვენა თავისი თავი მთელს სოფელს, რო-
მელსაც მონათესაობდნენ და ნაცნობობა ჰქონდა მთელს ქალაქში
ყველა წარჩინებულ პირთან, რომ მთელი სოფელი მოკრძალებით
უყურებდა, შიშსა გრძნობდა მის
წინაშე და ისეთ ბუმბერაზად წარ-
მოედგინათ, რომელსაც რასაც უნ-
დოდა იმას უზავდა იქითკენ მოაბ-
ნებდა მთელს სოფელს. ქალაქში
ესა და ეს პირი ჩემი ნათესავია,
ესა და ეს წარჩინებული კიდევ ისე-
თი მეგობარია, რომ ქალაქში რომ
ჩავალ თავისგან აღარსად გამიშ-
ვებს და მთელის კვირაობით იმას-
თანა ვარ ჩამომხტარიო. სოფელს
თავბრუს ასხავდა ასეთის ამბებით,
ჰხიბლავდა, ეშინოდათ და ყველა-
ფერს უჯერებდნენ.

რაც დრო გადიოდა უფრო და
უფრო მოუხშირეს სოფელში ლაპა-
რაკი მასწავლებლის ცუდს ყოფა-
ქცევაზე, თუმცა არც ერთს არ
დაენახა ეს მისი ცუდი ქცევა და
მხოლოდ მღვდლისა და მის დამ
ქაშებისაგან ესმოდათ ეს ამბები.
მასწავლებელს აღარ შეეძლო ყუ-
რადღება არ მიექცია ამისათვის.
ყველა ეს გულში ხვდებოდა, სასო-
წარკვეთილებაში აგდებდა, სწუხ-
და, ბოლმა მოსდიოდა, მაგრამ ამ
ბოლმას გულში იკლავდა და არა-
ვის უმხელდა, სწამდა, რომ რაც
უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქ-
ცევდა ამ ჭორებს, მით უფრო ჩქა-
რა მოსწყინდებოდა მის გამავრცელებელს იმაზე ლაპარაკი და ერთ-
ხელაც იქნებოდა გაჩუმდებოდნენ.

მაგრამ მღვდელი არა ცხრებოდა, იმან სასტიკი ბრძოლა გამო-
უცხადა მასწავლებელს და ვიდრე ლელოს არ გაიტანდა თავს არ
დაანებებდა. და ან კი რა დაუშლიდა, ქალაქში ძველი ნაცნობები,
რომელთაც აქედან უზიდავდა ყოველ მათთვის საჭირო ამბებს ჩუმად
და ფარულად, იმათაც სჯეროდათ და ყველას უსრულებდნენ, მღვდე-
ლი უფრო თამამდებოდა და აღვირს იშვებდა.

— მე ეხლა პირველი მღვდელი ვარ მაზრაში, ბუზსაც ვერავინ
ამიფრენს. შეხედეთ მთელს მაზრაში ჩვენი უმფროსები ჩემის მეტს
სხვას არაფერს უჯერებენ, ყველაფერს მე მეკითხებიან, ბლაღოჩინიც
მე ვარ ფაქტიურად და სკოლების მეთვალყურეც და ამ სიტყვებთან
ერთად გამოჰქონდა უბიდან მთელი ბღუჯა წერილებისა, რომელნიც
კერძო წერილებს წარმოადგენდნენ ზოგჯერ სულ უბრალო საკითხზე
მოწერილს. მაგრამ მამა ლავრენტი ამეებს არ დაგიდევდათ თუ რა
ეწერა წერილში, მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ქალაქიდან რო-
მელიმე უმფროსი წერილისა სწერდა და ეს გარემოება ფრთებს ას-
ხავდა, ალტაცებაში მოჰყავდა და ცდილობდა ხარბად გამოეყენებინა
ეს ნდობა მთავრობასა.



მ. ბაკუნინი.

ერთხელ ერთი მახლობელი სკოლის მასწავლებელი ქალი ლაპარაკში შეება და როცა თავხედმა მოძღვარმა შეურაცყოფა მიაყენა სიტყვით მასწავლებელს, უკანასკნელი სალამს აღარ აძლევდა ხოლმე მღვდელს. ეს გარემოება მ. ლავრენტიმ ხელზე დაიხვია და ისეთი ცილი დასწამა და ჭორები ჩაუზიდა მთავრობას, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ დაეთხოვნათ მასწავლებელი.

გამარჯვებული მღვდელი ეხლა ყველგან ხმა მაღლა გაიძახოდა:

— დამაცადოს, რაღაც თინათინა მასწავლებელია, თუ ეგეც ალიბეგლას მასწავლებელს არ მივაყოლო თანა. ნახავს თავის სეირს, ისე გაუხდი საქმეს, რომ სულ ბუზები ეხვევოდნენ.

3.

ზაფხული ჩამოდგა. სხვა და სხვა ქალაქებში გაბნეულმა მცირე ახალგაზდობამ სოფელს მოატანა და მშობლების კერა მონახა. სოფელიც ცოტა გამოცოცხლდა, მეტი მხიარულობა დაეტყო. ჩვეულებრივი მოწყენილობის ფარდა აეხადა კუდიანეთს და ახალგაზდებთან ერთად ისიც ახმაურდა, თვალები მოიფშვნიტა და მხიარულად გადაუშალა თავისი გულმკერდი სოფელში დაბრუნებულ თავის ღვიძლიშვილთ, თავის სისხლ-ხორცთ, თავის მომავალ ბატონ-პატრონებს.

დაიწყო სოფელში მხიარულობა, გაისმა აქა-იქ წკრიალა სიმღერა-გალობა ახალგაზდებისა. ჩვეულებრივ წარმოდგენას გამართვასაც შეუდგნენ. ყოველ ზაფხულში ორი-სამი წარმოდგენის გამართვა ტრადაციულს ჩვეულებადა ჰქონდათ გადაქცეული ახალგაზდობას. ეხლაც შეიკრიბა ახალგაზდობა სკოლის ეზოში, რომელთ შორისაც მასწავლებელი თინათინი თამამად დატრიალებდა. ახალგაზდობა სიყვარულითა და თავაზით უცქეროდა თინათინს, ბევრნი მათგანნი მისნი ნაშეგირდალნი იყვნენ, მისი აღზრდილნი და მისგანვე პირველ სწავლაცოდნის მიმღებნი. ყველას თან გაჰყოლოდათ მასწავლებლისა და მისი სკოლის სასიამოვნო მოგონებანი, მის მშობლიური მზრუნველობა და სამაგალითო მასწავლებლობის ხსოვნა. ყოფილი მოსწავლენი არ ივიწყებდნენ თავის მამობილ სკოლის კერას და მივიდოდნენ თუ არა სოფელში, თავის პირველ მოვალეობად სთვლიდნენ მასწავლებელ თინათინის ნახვას და მასთან მუსაიფობა და დროს გატარებას არაფერი ერჩივნათ. სკოლა მათთვის მეორე სამშობლო კერა იყო და მასწავლებელი კიდევ მეორე მშობელი და აღმზრდელი დედა. ამიტომ ყოველ ზაფხულობით მის ირგვლივ იკრიბებოდნენ და მის ხელმძღვანელობით აწყობდნენ ყოველივე გასართობს. დღეს მასწავლებელთან ერთად შეყრილიყვნენ სკოლის ეზოში მთელი მოსწავლე ახალგაზდობა, უნდა ამოერჩიათ სათამაშოდ პიესა და გადაეწყვიტათ ვის სასარგებლოდ გაემართნათ წარმოდგენა. გამოითქვა სხვა და სხვა აზრი, ზოგი სკოლის ბიბლიოთეკის სასრგებლოდ ამბობდა, ზოგი ილ. ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ, მღვდელი კი, რომელიც საიდგანაც მათში ჩარეულიყო, ურიადნიკ ზემსკის მოსწავლე შვილის სასარგებლოდ.

როცა მღვდელმა დაბეჯითებით მოითხოვა, რომ ურიადნიკის შვილის სასარგებლოდა ყოფილიყო წარმოდგენა გამართული, მაშინ მასწავლებელი წამოდგა, წინ წამოიწია და აღელვებით წამოიძახა:

— ბ-ბო თქვენ ბევრი რამ დაასახელევით, მაგრამ საჭიროა ჩემის აზრით ფული იმ საქმეს მოვახმაროთ, რომელიც ყველაზე მაღლა სდგას. ჩემის აზრით სხვა ყველაფერი უკუ უნდა ვაგდოთ და ეგ ფული ილია ჭავჭავაძის ფონდისთვის გადავდოთ. ის, ისეთი სათაყვანებელი ადამიანი იყო მთელის საქართველოსათვის და ის იდეა, რასაც უნდა მოხმარდეს მისი ფონდი, ისეთი დიადია და სანუკვარი, რომ სხვა ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ...

მაგრამ ვერც კი მოასწრო მასწავლებელმა სიტყვის გათავება, რომ ყველამ საერთოდ ტაში შემოჰკრა, რასაკვირველია გარდა მღვდლისა და მასწავლებლის სიტყვას დაეთანხმა ალტაცებით.

— რა საჭიროა ჭავჭავაძის ფონდისათვის ფულის გროვება, ის მოკვდა, თავისი დრო მოჭამა, ურიადნიკის შვილი კი სწავლობს ნიჟიერია და ვინ იცის ისიც ჭავჭავაძეზე ნაკლები კაცი არ გამოვიდეს, ბუტბუტებდა გაბრაზებული მღვდელი, მაგრამ მის სიტყვებს ყურადღებას არავინ აქცევდა და მასწავლებლის სიტყვით კმაყოფილნი ყველანი დაიშალნენ.

— დამაცა შენ რაღაც მასწავლებელი გდიხარ, ისე გაგიხადო საქმე, რომ სულ ბუზები გეხვევოდნენ, შენ მიცარავ ხელს ყველგან, შენ მიშლი მთავრობის თვალში სასიამოვნო კაცი ვიყო. ზემსკისთვის, რომ მიგვეცა ეგ ფული, მაშინ მაზრის უმფროსი გაიგებდა ჩემი მწყალობელ-მფარველი იქნებოდა. მაცალე შენ არამზადავ, მასწავლებელი კი არა შენ ბ... უსტაბაში უნდა იყვე, ამბობდა თავისთვის სახლისკენ მომავალ გაბრაზებული მღვდელი და თან სიბრაზით დორბლებსა ჰყრიდა.

წარმოდგენამ კარგა ჩაიარა, საკმარისი ფულიც შემოვიდა, მაგრამ სამაგიეროდ მასწავლებელის გული არ იყო მოსვენებით მღვდლის მუქარა და მისი სიტყვები მის მახვილ ყურს არ გამოჰპარვია და ეს ურკეცებდა წინანდელს მწუხარებას და ცეცხლზე ნავთს უსხავდა. მასწავლებელი ბოროტსა და შფოთს ერიდებოდა, ბუნებით მშვიდსა და წყნარს, ყოველივე საქციელი და ამხედრება მღვდლისა მის წინააღმდეგ აღელვებდა, აძრწუნებდა და კდემოსილს ჰხდიდა; გული ათასნაირად ეღადრებოდა, უტიროდა, და ეძიძგნებოდა, სწუხდა, მარამ ჩუმად სხვის შეუმჩნევლად. ზოგჯერ მზად იყო წასულიყო სხვაგან, მოშორებოდა სასწავლებელს, გადამტერებულს მღვდელს, მის მუდმივ გალაშქრებას უშემწევნო მასწავლებელზე. მაგრამ იმავ დროს, როცა გაითვალისწინებდა იმ 20 წლის ღვაწლს, რომელიც ამ სკოლისათვის შეეწირნა, მთელს თავის ახალგაზდობას, რომელიც თავს შემოავლო სკოლის კეთილდღეობას, იმ მუდმივ, ყოველდღიურს ზრუნვას იმაზე, რომ აემაღლებინა სკოლის მნიშვნელობა ხალხის თვალში, რომ ველურსა და შეუგნებელს ხალხში სკოლა ისეთს წერტილზე დაეყენებინა, რომ იგი ხალხის სულათა და გულად გაეხადნა და ყველა ამას როცა გაითვალისწინებდა წარმოუდგენელი უხდებოდა თავისი არსებობა უსკოლოდ და სკოლისა კიდევ უთინათინოდ. თინათინი ხომ სკოლის სული და გული იყო, რომელსაც მთელი თვისი სიცოცხლე შესწირა და განა უსულ-გულოდ შეეძლო სკოლას არსებობა.

— არა, არა იგი ზვარაკად შეეწირება სკოლას თუ ამას მოითხოვს გარემოება და სკოლას კი არ მოშორდება. ოჰ, ბოროტო არსებავ, ვინ გაგხადა შე მღვდლად, ღმერთო ჩემო, რა უნდა მაგას ჩემგან. მთელი ჩემი სიცოცხლე სკოლას ვანაცვალე, შევაყვარე ხალხს სკოლა, ბავშვების ტევა აღარ იყო ხოლმე სკოლაში, მეთვალყურემ მითხრა 50 მეტს ნუღარ მიიღებ ძნელია მეცადინეობაო და ეხლა კი მაგის წყალობით სკოლა ცარიელდება. წელს არც ერთი ახალი შეგირდი არ მოუყვანიათ, თუ ასე გაგრძელდა, სკოლა დაცარიელდებადა სიკვდილის პირამდის მისულს სკოლას სული ამოხდება. ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუ თუ ის სკოლა, რომელიც ასე სათუთად აღვზარდე, ეხლა უნდა მოკვდეს და მე მის სიკვდილს გულხელ დაკრეფილი შევცქეროდე, რა ვქნა, რა წყალში გადავარდე, ასჯერ ეკითხებოდა თავის თავს თინათინი.

არ გასულა ორი თვე წარმოდგენის გამართვის შემდეგ თინათინს მღვდლის დასმენით სახლი გაუჩხრიკა პოლიციამ, სახლში აკრძალულს წიგნებსა და თოფ-იარაღს ინახავსო. რასაკვირველია, გაჩხრეკამ ვერაფერი აღმოაჩინა, ვერც აკრძალული რამ წიგნი აღმოჩნდა თინათინთან და ვერც თოფ-იარაღი. მაგრამ თინათინს კი გული გაუხეთქა ამ ამბავმა. მასწავლებელი ჩაიფუფქა, მკვდარს დაემგზავსა.

— წავალ, წავალ მშიერი მოვკვდები და მაგის შემაცქერალი კი აღარ ვიქნები, ძლივს ღა ამობდა მიხწნეული და სასოწარკვეთილი მასწავლებელი.

მეორე დღეს ელვასავით მოედო მთელს სოფელს ეს ამბავი.

— ჩონ, მასწავლ მიდის, მღვდელი მოკვლას უპირებსო.

აბობოქრდა სოფელი, შეინძრა, ახმაურდა აქამდის მიწყნარებული და მუდამ მომთმენი სოფელი. ის ყურადღებას არ აქცევდა მღვდლისა და მასწავლებლის უსიამოვნობას, ამბობდნენ თითონ მორიგდებიანო, მაგრამ ეხლა კი მოთმინების ფიალა აღევსო სოფელს და ხმა ამოიღო.

— ჩონ მასწავლს, ჩონ დედას ვინ გაუშვებს აქედან, აქთონ ხანს აქ კეთდებოდა, ჩონ ბახლებს ალოცებდა, თითონ წავიდეს მღვდელი, მაგან არია სოფელი, მაგან გადაჰკიდა ყველანი ერთმანეთს.

მთელი სოფელი გრგვინავდა და ღელავდა, ლამობდა მძლავრმეხად გადაქცევას და მღვდლის წალეკვას. მღვდელს მისმა დამქაშებმა ფიცხლავ შეატყობინეს სოფლის მუქარა და მრისხანება.

აქამდის შეუპოვარ მღვდელმა ეხლა კი იკადრა თავის მოკატუნება და სოფლის პატივებას სთხოვდა. მაგრამ ამაოდ, ერთხელ გულიდან ამოგლეჯილის მღვდლის თვალით დანახვა აღარავის უნდოდა.

— მოგვშორდეს, გადიხორცოს აქნიდან, ვიდრე ცოცხალია, თორემ ამოვწყვეტთ, ცეცხლ ჩაუნთებთ, ბობოქრობდა სოფელი და მუქარის სისრულეში მოყვანას ფიქრობდა.

მეორე დილას ჯერ გარიჟრაჟი არც კი იყო, რომ მღვდელს გუდა ნაბადი წამოეკიდა და გზას გასდგომოდა.

ზ. ედილი.

# შავი ჭირის მოლოდინში




„შავი ჭირის დასახვედრად ქალაქის გამგეობამ ორი კრაოტი დაამზადა“.

გაზეთებიდან.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.